



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

## ბრძანება

N 54  
15/01/2019

54-0-4-201901151151



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქციების განაწილების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

### *ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ*

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

2. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

ა) ოსიკო თოთიბაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) გიორგი ღურჯუმელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯგუფის წევრი;

გ) გიორგი ინჭკირველი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ) თემურ გიორგაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქტიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ე) გია მამაკაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ვ) ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ზ) ეკატერინე მგელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

თ) დარეჯან გოგოტიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანაშემწე - ჯგუფის წევრი;

3. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფის ხელმძღვანელი (ო.თოთიბაძე) უზრუნველყოფს - პროცესის საერთო ხელმძღვანელობას და ანგარიშგებას მერთან;

ბ) ჯგუფის წევრი (გ. ღურჯუმელიძე) უზრუნველყოფს - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებას და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

გ) ჯგუფის წევრი (გ. ინწკირველი) უზრუნველყოფს - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებას და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზებას, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

დ) ჯგუფის წევრი (თ. გიორგაძე) უზრუნველყოფს - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირებას, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვას და მერისათვის წინადადებების მომზადებას, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

ე) ჯგუფის წევრი (გ. მამაკაიშვილი) უზრუნველყოფს - პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადებას, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვას;

ვ) ჯგუფის წევრი (ლ.თავაძე) უზრუნველყოფს - მერის სამართლებრივი აქტების მომზადებას, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერას;

ზ) ჯგუფის წევრები (ე.მგელაძე, დ.გოგოტიშვილი) უზრუნველყოფენ - მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის.

4. სამუშაო ჯგუფის წევრები მსჯელობენ და განსაზღვრავენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

5. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

6. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

8. ბრძანება ძალაშია მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

